დავით თინიკაშვილი
გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

საეკლესიო სქიზმის რეალური მიზეზები

აბსტრაქტი

მოციქულთა დროინდელი ქრისტიანული დოქტრინა მარტივ იდეებს ეფუძნებოდა, რომელთა აღიარების შემთხვევაში პირი ეკლესიის წევრად ითვლებოდა. განსხვავებული აზრის მქონე ან გარკვეული მიზეზით მოციქულთაგან განცალკევებული ქრისტიანები არ მოიაზრებოდნენ ეკლესიის გარეთ მყოფებად. მომდევნო საუკუნეებში გამოყოფილთა მიმართ დამოკიდებულება იცვლება. მათ ერეტიკოსებს, სქიზმატიკოსებსა და გარეშესაკრებლებში მყოფებს უწოდებენ, რომელთა შემოერთებისთვის შესაბამისი წესები დგინდება. საეკლესიო განხეთქილებებს ზოგჯერ განაპირობებდა პიროვნული ამბიციები — ამპარტავნება, ეჭვი, ჯიბრი, უნდობლობა, ძალაუფლებისკენ ლტოლვა. მაგრამ მიუხედავად პიროვნული ფაქტორის მნიშვნელოვნობისა, ის თითქმის არასდროს ყოფილა სქიზმის ერთადერთი მიზეზი, რომელიც ასევე უკავშირდებოდა უფრო ობიექტურ ფაქტორებს, მაგ., გაუგებრობას, კერძოდ, ლინგვისტური ხასიათისა. საეკლესიო სქიზმის მიზეზებს შორის შეიძლებოდა ნაციონალიზმისთვისაც მიგვენიჭებინა შესაბამისი როლი. მაგ., გერმანული ნაციონალიზმი ნამდვილად უკავშირდებოდა რეფორმაციის განვითარებას. ასევე ანგლიკანური ეკლესიის სტრუქტურას სათანადო კავშირი აქვს ინგლისური საზოგადოების კლასობრივი დაყოფის მოდელთან. იგივე მიზეზები მოჩანს, უფრო ადრეულ საუკუნეებში, კერძოდ, სომხეთისა და სპარსეთის ქრისტიანული ეკლესიების ფორმირების პროცესში.

საკვანძო სიტყვები: *ეკლესიის ისტორია, სქიზმატიკოსობა, ერეტიკოსობა, ნაციონალიზმი*

მოციქულთა მარტივი მრწამსი

როგორც ახალი აღთქმის ტექსტიდან ჩანს, ეკლესიის წევრობისთვის რამდენიმე მარტივი კრიტერიუმის დაკმაყოფილება იყო საჭირო, კერძოდ, აუცილებელი იყო შემდეგი იდეების აღიარება: წმინდა სამებისა, როგორც ერთი ღმერთისა: “მამა, ძე და სულიწმინდა: ეს სამნი ერთნი არიან” (1 ინ. 5:7) და ძე ღვთისას განხორციელებისა ანუ ქრისტეს ღმერთკაცობრივი ბუნებისა: “ყოველი სული, რომელიც აღიარებს იესო ქრისტეს ხორციელად მოსულს, ღვთისგან არის” (1 ინ. 4:2); “ღვთის სულით მეტყველი ვერავინ შეაჩვენებს იესოს და ვერავინ უწოდებს მას ღმერთს, თუ არა სულიწმინდით” (1 კორ. 12:3). როდესაც ფილიპემ მონათლა ეთიოპიელი საჭურისი, მან თავისი სარწმუნოება განაცხადა ასეთი პრიმიტიული ფორმულით: „მრწამს, რამეთუ ძე ღმრთისა არის იესუ ქრისტე“ (საქ. 8:37).

ასეთი მარტივი იყო მოციქულთა დოგმატური ღვთისმეტყველება. მათი აზრით, სწორედ ამ დებულებებისგან შედგება ის ძირითადი და აუცილებელი ფუნდამენტი, რომელზეც უნდა მდგარიყო ქრისტიანული თემი. ყველა დანარჩენი საკითხი ქრისტიანებისთვის თავისუფალი განხილვის საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამგვარი ვითარება ლაკონურად გამოიხატებოდა ფორმულით, რომელიც ნეტარ ავგუსტინეს მიეწერება: "მთავარში ერთიანობა, საკამათოში თავისუფლება და ყოველივეში სიყვარული"[1]. მსგავსი შეხედულებების აღმოჩენა თავისუფლად შეიძლებოდა ეკლესიის ძველ მამებთანაც. მაგ., ირინეოს ლიონელთან, გრიგოლ დიოლოგოსთან, გიორგი მთაწმინდელთან[2].

განსხვავებულებთან და აგრეთვე მოწინააღმდეგეებთან მიმართებაზე მსჯელობისას საკვანძო მნიშვნელობა აქვს პავლე მოციქულის შემდეგ დამოკიდებულებასაც. იგი ძალზედ მოხარული იყო, როდესაც ხედავდა, რომ სახარება ასევე იმ ადამიანების მიერაც იქადაგებოდა, რომლებიც მასთან დაპირისპირებულ მქადაგებლებლად მოიაზრებოდნენ. პავლე წერს, რომ ერთნი პაექრობის სულით ქადაგებდნენ ქრისტეს, ფიქრობენ რა, რომ ამით დაუმძიმებდნენ მას ტვირთს, სხვები კი სიყვარულით ქადაგებდნენ. "მაგრამ რა მერე?" როგორც არ უნდა იქადაგებოდეს ქრისტე, გულწრფელად თუ არაგულწრფელად, "მე ესეც მახარებს და ყოველთვის გამახარებს" (ფილ. 1:18). ამ კონტექსტში საინტერესოა თავად ქრისტეს სიტყვებიც. მოციქულ იოანეს შეკითხვაზე: "მოძღვარო! ჩვენ ვნახეთ ადამიანი, რომელიც შენი სახელით დევნის ეშმაკებს, მაგრამ ავუკრძალეთ ამის გაკეთება, რადგან ჩვენ არ მოგვყვება" (ლკ. 9:49). მაგრამ იესომ მიუგო: "ნუ აუკრძალავთ, რადგან ის, ვინც თქვენს წინააღმდეგ არ არის, თქვენს მხარესაა" (9:50). სხვა სიტყვებით, შესაძლოა არსებობდნენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არსებული მორწმუნეთა ჯგუფები, რომელთაც, შესაძლოა, რაღაც მიზეზით, ერთმანეთთან ურთიერთობა არ ჰქონდეთ ("ჩვენ არ მოგვყვება"), მაგრამ ღვთის სიტყვას ქადაგებდნენ ("...თქვენს მხარესაა").

მოციქულთა ამგვარი ინტერკონფესიური სულისკვეთება ლოგიკურად აგრძელებდა თავად იესო ქრისტეს მისიას. ქრისტიანული დოქტრინის მიხედვით, ადამიანად მოვლენილი ღმერთი "სამწყსოდან არ რიყავდა სხვა რელიგიების მიმდევრებს, გულისხმიერად საუბრობდა რა განსხვავებული რელიგიური ტრადიციის მქონე პირებთან (სამარიტელი ქალი, ქანაანელი ქალი, რომაელი ასისთავი) და ეხმარებოდა მათ; იგი აღტაცებულია მათი რწმენით, რომლის

---

[1] სინამდვილეში, ეს სიტყვები ეკუთვნის მეჩვიდმეტე საუკუნეში მოღვაწე ლუთერან თეოლოგს, პეტრე მაიდერლინს, იხ.: Эрнст Суттнер. *Христианство Востока и Запада: В Поисках Зримого Проиавлениа Единства*. Перевод с Немецкого. (М., ББИ, 2004), 286.

[2] ცხადია, პატრისტიკულ ხანაში, სხვადასხვა გამოწვევების საპასუხოდ, უფრო მეტად განვითარდა დოქტრინა, მაგრამ მსგავსი არამკაცრი დამოკიდებულება ჰქონდათ ასევე ეკლესიის მამებსაც. მაგ., მეოთხე საუკუნეში ბასილი კესარიელი ერეტიკოსებთან დაკავშირებით წერდა: "არ უნდა ვითხოვდეთ მათგან ბევრს, რადგან ჩვენთან გაერთიანების მოსურნე ძმებს მხოლოდ ნიკეის მრწამსის აღიარებას უნდა ვთავაზობდეთ და თუ ისინი ამაზე თანახმა იქნებიან, ასევე უნდა ვთხოვოთ მათ, რომ სულიწმინდას არ უწოდებდნენ ქმნილებას (...) მეტს არაფერს უნდა ვითხოვდეთ მათგან, რადგან დარწმუნებული ვარ, მათთან უფრო ხანგრძლივი ურთიერთობებისა და კამათის სულისგან თავისუფალი ერთობლივი მსჯელობის შედეგად, თუკი საჭირო იქნება სიცხადისათვის კიდევ რაიმეს დამატება, ღმერთი ამასაც მოგვანიჭებს" (Василий Кривошеин. *"Экклезиология св. Василия великого",* Страницы 3:3 (1998), 348).

მსგავსი ისრაელშიც კი არ შეხვედრია (მთ. 8:10; 15:28; ლკ. 7:9)”[3]. ზოგადად, აღსანიშნავია, რომ ერთადერთი, რის გამოც იესო ქრისტე მძაფრად გამოხატავდა გულისწყრომას, ეს იყო თვალთმაქცობა. ამის გამო კიცხავს იგი ფარისევლებს, რომელთაც მხოლოდ გარეგნული ზნეობა ახასიათებდათ (ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი იხ. ლუკას სახარებაში 11:38-42).

გამოყოფილთა მიმართ დამოკიდებულება

ადრეულ ეკლესიაში, კერძოდ, მოციქულთა დროს, ერესები და სქიზმები ეკლესიის ფარგლებში არსებულად მოიაზრებოდა. ამ დამოკიდებულების ამსახველად ითვლება, მაგ., პავლე მოციქულის შემდეგი სიტყვები: „რამეთუ წვალებაცა (αἵρεσις) ყოფად არიან თქუენ შორის“ (1 კორ. 11:19)[4]. სხვა მოციქულთა მიხედვითაც, ერესის (αἵρεσις) გამავრცელებელნი ანუ „ცრუ-მოძღვარნი“ კვლავ ეკლესიის შიგნით მყოფებად მოიაზრებოდნენ (2 პეტ. 2:1; ტიტე 3:10).

როგორ ვითარდება მოციქულთა შემდგომ მოღვაწე მამების დამოკიდებულება განხეთქილებასა და ერესში მყოფთა მიმართ? კლიმენტი რომაელი სიტყვას „სქიზმა“ კვლავ იყენებდა ეკლესიის შიგნით არსებული ფრაქციის აღსანიშნავად. ისიდორე სევილიელის დეფინიციით კი (რაც ავგუსტინედან მომდინარეობს), სქიზმატიკოსებისგან განსხვავებით, ერეტიკოსები განსხვავებული რწმენის მქონეებად მოიაზრებოდნენ[5]. შემდგომში უფრო მკაცრი ხაზიც ჩნდება ეკლესიაში, რომლის მიხედვითაც ერეტიკოსიც და სქიზმატიკოსიც ეკლესიიდან გასულად ითვლება. მაგ., კვიპრიანე კართაგენელის აზრით, თუ ვინმე სქიზმაშია, ის ნამდვილად ეკლესიის გარეთაა და ასეთ შემთხვევაში, არც კი უნდა ვინტერესდებოდეთ, რას ასწავლის სქიზმატიკოსი. ამრიგად, კვიპრიანესთან სიტყვები სქიზმატიკოსი და ერეტიკოსი ერთმანეთის ნაცვლად გამოიყენებოდა[6]. მაგრამ, ზოგადად, ერეტიკოსი და სქიზმატიკოსი გაირჩეოდა ერთმანეთისგან მეორე საუკუნის მიწურულიდან. პირველი უკავშირდებოდა დოგმატურ შეცდომას, მეორე კი ოდენ საეკლესიო ჯანყს.

გრინსლეიდის სწორი შენიშვნით, ყოფილა „მრავალი შემთხვევა“, როდესაც ეკლესიიდან განკვეთილ ეპისკოპოსს აღიარებდა არა მხოლოდ მისი საკუთარი მრევლი, არამედ განმკვეთელი საეკლესიო კრებულის „მნიშვნელოვანი ნაწილიც“. ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ ანტიოქიას ევქარისტიული კავშირი ჰქონდა ალექსანდრიასთან, მაგრამ არა რომთან მაშინ, როცა რომს ევქარისტიული კავშირი ჰქონდა ალექსანდრიასთან, რომელსაც ასეთივე კავშირი ჰქონდა ანტიოქიასთან და რომთან. აქ შეუძლებელია იმის მტკიცება თუ რომელი ეკლესია იყო მსოფლიო ეკლესიის გარეთ. საქმე იმაშია, რომ სიტყვით „სქიზმა“ ზოგადად ეკლესიის დატოვება აღინიშნებოდა და არა ყოველი შეწყვეტა ევქარისტიული კავშირისა ეკლესიებს შორის[7].

---

[3] იანულატოსი, ანასტასიოსი (ტირანისა და სრულიად ალბანეთის მთავარეპისკოპოსი). *“მართლმადიდებლობის დამოკიდებულება სხვა რელიგიებთან”*, სოლიდარობა: საქართველოს სახალხო დამცველის პერიოდული გამოცემა 7 (2006), 40.

[4] სხვათა შორის, ახალქართულ თარგმანში სიტყვა წვალება (ერესი) შერბილებულადაა თარგმნილი და მის ნაცვლად წერია „განხეთქილება“ ან „დაყოფა“.

[5] Greenslade, Stanley. *Schism in the Early Church*. (London: SCM Press 1953), pp. 18-19.

[6] Greenslade, *Schism in the Early Church*, p. 21.

[7] Greenslade, *Schism in the Early Church*, p. 30.

სქიზმის მიზეზები

ჯერ კიდევ იოანე ოქროპირი აცხადებდა, რომ „არაფერი ისე არ უწყობს ხელს განხეთქილებას, როგორც ძალაუფლების სიყვარული“[8]. წმინდანის აზრით, თუ ერესი, როგორც წესი, რეალურ იდეურ სხვაობებს უკავშირდება, სქიზმა ძლევამოსილების მიმართ ვნებისგან უნდა მომდინარეობდეს. თუმცა, ცხადია, ყველა მნიშვნელოვანი სქიზმა როდი უკავშირდებოდა მხოლოდ პიროვნულ ამბიციას, მაგრამ მათგან ზოგიერთის შემთხვევაში ამგვარ ქვენა გრძნობებს (სიამაყე, ეჭვი, ჯიბრი, ბრაზი) დომინანტური როლი ეკავა. აღსანიშნავია, რომ „თეოფილე ანტიოქიელსა და იოანე ოქროპირს, ნესტორსა და კირილე ალექსანდრიელს შორის დაპირისპირება არ წარმოქმნილა პიროვნული მტრობიდან, რაც, საბოლოოდ, ისეთი მძაფრი შეიქნა, რომ შეაფერხა მშვიდი განხილვა და პრობლემური საკითხების სამართლიანი გადაწყვეტა“[9].

ეკლესიათა შორის წარმოქმნილ განხეთქილებებს, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანწილად განაპირობებდა პიროვნული ფაქტორი: გადაჭარბებული ამბიციები, ამპარტავნება, ძალაუფლებისკენ ლტოლვა. მაგ., უკრაინელი ეკლესიის ისტორიკოსი მიხეილ პოსნოვი იმოწმებს რვა ისტორიკოსს, რომლებიც 1054 წლის დიდი სქიზმის მთავარ მიზეზად ძალაუფლებისათვის ბრძოლას ასახელებენ[10]. ამ მხრივ, საინტერესოა, მაგალითად, აღმოსავლური ქრისტიანობის შვედი მკვლევრის, სამუელ რუბენსონის მოსაზრებაც, რომლის თანახმად, არც ორიგენეს ანათემირებას ჰქონდა თეოლოგიური საფუძველი და არც მელეტის სქიზმა უკავშირდებოდა რაიმე თეოლოგიურ საკითხს. „როგორც ჩანს, არიანული პაექრობაც კი წარმოიშვა არა იმდენად დოგმატიკიდან, არამედ უფრო ლიდერობასთან და ავტორიტეტის საკითხთან დაკავშირებული უთანხმოებიდან"[11].

საეკლესიო კონფლიქტების მიზეზების ძებნა, ბუნებრივია, სხვაგანაც შეიძლება, მაგ., ელემენტარულ გაუგებრობებში, თუნდაც ენობრივი, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთში წარმოქმნილი მრავალი ერესის წინააღმდეგ მიმდინარე თეოლოგიური პოლემიკების შედეგად, ბერძნული ენა ძალიან განვითარდა და დაიხვეწა. ბუნებრივი საჭიროება იყო ახალი, უფრო ზუსტი ტერმინების შემოღებისა, რათა მკაფიოდ და არაორაზროვნად გამოთქმულიყო ესა თუ ის დოგმატური ფორმულა. ლათინურენოვან დასავლეთში კი, თეოლოგიური პოლემიკების ტემპერატურა არასოდეს ყოფილა ასეთი მაღალი. შესაბამისად, აქ საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია არ გამოირჩეოდა დიდი სიღრმითა და სინატიფით. ლათინური ენა, რანსიმენის შეფასებით, უფრო „ხისტი და არაელასტიური იყო“[12]. მეორეს მხრივ, ბერძნულ ენაშიც არ მოიძებნებოდა ზოგიერთი ლათინური სიტყვის

---

[8] Greenslade, *Schism in the Early Church*, p. 37.

[9] Greenslade, *Schism in the Early Church*, 55.

[10] Поснов, Михаил. *История Христианской Церкви: До Разделения Церквей, 1054г*. (Брюссель: Жизнь с Богом 1964), 559.

[11] Rubenson, Samuel. *The Letters of St. Antony: Origenist theology, monastic tradition and the making of a Saint*. (Lund: Lund University Press, 1990), 115.

[12] Runciman, Steven. *The Eastern Schism: A study of the papacy and the Eastern Churches during the XIth and XIIth centuries*. (Oxford: Clarendon Press 1955), 8.

ეკვივალენტი, მაგ., ტერმინების: *infallibilitas* და *vicarius*[13], რომელთაც პირველადი მნიშვნელობა ჰქონდათ პრიმატთან დაკავშირებული რომაული პრეტენზიების ადეკვატური გაგებისთვის.

ენობრივ განსხვავებებს არანაკლებად ართულებდა ერთმანეთის თეოლოგიების არცოდნა. როგორც ჯონ ერიქსონი სამართლიანად შენიშნავდა, „1054 წლის ლათინები გამოირჩეოდნენ ბერძნული ენისა და საერთოდ ბერძნული თეოლოგიური ტრადიციის ძალზე მწირი ცოდნით, ბერძნები კი მეტისმეტად იყვნენ დაკავებულნი იმდროინდელ სომეხ და ებრაელ თეოლოგებთან პოლემიკით იმისათვის, რომ სათანადოდ შეეფასებინათ ლათინთა პოზიციები“[14]. ენობრივ გაუგებრობათა სხვა მაგალითებისა და ზოგადად აღმოსავლურ-დასავლური თეოლოგიური მეთოდების გაცნობა შესაძლებელია ჯონ მეიენდორფის[15], აიდან ნიკოლსის[16], ვასილი კრივოშეინის[17], სტივენ რანსიმენის[18] და სხვათა ნაშრომებში.

ქრისტიანული მოძღვრებით, აღარ არსებობდა ნაციონალური განსხვავებები, რაც ყველაზე მკაფიოდ გამოიხატა მოციქულის ცნობილი სიტყვებით, რომ ქრისტეში აღარ არსებობდა ელინი და ებრაელი, მონა და ბატონი, ქალი და კაცი. ამიტომ, სრულიად ბუნებრივი იყო, როდესაც 1872 წელს კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებაზე ოფიციალურად დაიგმო ეთნოფილეტიზმი ანუ ნაციონალური პრინციპით ეკლესიების დაყოფის წესი[19].

როგორც მიჩნეულია, გერმანული ნაციონალიზმი არ იყო რეფორმაციისგან განცალკევებული და ასევე ანგლიკანური ეკლესიის სტრუქტურაც დაკავშირებულია ინგლისური საზოგადოების კლასობრივ დაყოფასთან[20]. ქრისტიანობის ადრეულ საუკუნეებშიც (მაგ., აღმოსავლეთის ზოგი საეკლესიო კრებულის შემთხვევაში, რომლებიც დღეს მართლმადიდებლური სამყაროსგან დაშორებულებად მოიაზრებიან) ყოფილა შემთხვევები, როდესაც მორწმუნეთა ხალხს, რომლებიც არ იყვნენ გაცნობიერებულნი თეოლოგიურ საკითხებში, ერთგულნი იყვნენ საკუთარი რელიგიური ლიდერისა სწორედ ნაციონალური ან სოციალური მოტივებით.

---

[13] Nichols, Aidan. *Rome and the Eastern Churches*. 2nd ed. (San Francisco, CA: Ignatius Press, 2010), 153.

[14] Erickson, John. *“Leavened and Unleavened: Some Theological Implications of the Schism of 1054”,* in: John Erickson. The Challenge of our Past: Studies in Orthodox Canon Law and Church History. (New-York: SVS Press 1991), 149-150.

[15] Meyendorff, John. *Byzantine Theology: Historical Trends and Doctrinal Themes*. 2nd ed. (New York: Fordham University Press 1979), 182. რუსულ თარგმანში იხ.: Иоанн Мейендорф. *Византииское Богословие* (Минск, 2001), 68.

[16] Nichols, Aidan. *Rome and the Eastern*, 153-159.

[17] Кривошеин, *„Экклесиология Василия“*, 357.

[18] Runciman, Steven. *The Great Church in Captivity: A Study of the Patriarchate of Constantinople from the Eve of Turkish Conquest to the Greek War of Independence*. (Cambridge: Cambridge University Press, 1985), 102. რუსულ თარგმანში იხ.: Стивен Рансимэн. *Великая Церков в Пленении*. (СПб., 2006), 106.

[19] Kalaitzidis, Pantelis. *“Orthodox Theology Challenged by Balkan and East European Ethnotheologies”*, Politics, Society and Culture in Orthodox Theology in a Global Age. Edited by Hans-Peter Grosshans and Pantelis Kalaitzidis (Schöningh: Brill 2022), 108. იხ. ასევე სტატია: პაპუაშვილი, ნუგზარ. *„ფილეტიზმი, სამართალი და მართლმადიდებლობის დამჩემებელი ისტორიკოსები“,* ჟურნალი „ზღვარი“ 2 (7), (2006), 21-26.

[20] Greenslade, *Schism in the Early Church*, 58.

საინტერესოა ასევე მაგალითი მეხუთე საუკუნის სპარსეთის ქრისტიანული ეკლესიისა, რომელმაც ნაციონალური ხასიათი შეიძინა. ეფესოსა (431 წ.) და ქალკედონის (451 წ.) მსოფლიო კრებებს სპარსეთის ეკლესიის არცერთი ეპისკოპოსი არ დაესწრო[21]. ამ მხრივ, სახსენებელია აგრეთვე სომხური სამოციქულო ეკლესიის ისტორიაც. მაგრამ, გრინსლეიდის მითითებით, სირიასა და ეგვიპტეში საეკლესიო სქიზმებს უფრო დოგმატური საფუძველი ჰქონდა[22].

ყველაფერთან ერთად ასევე ნაციონალურმა ფაქტორმაც იმუშავა 1054 წლის დიდი განხეთქილების დროს. მართალია, ამ სქიზმის მიზეზები მრავალგვარი იყო (პოლიტიკური, თეოლოგიური და სხვა), მაგრამ ერთ-ერთი მწვავე საკითხი უკავშირდებოდა იმას, რომ ერთ მხარეს ბერძნები, მეორე მხარეს კი ლათინები იყვნენ. ამ დაპირისპირებასა და საბოლოო დაშორებაში გადამწყვეტი ნაციონალური განსხვავება არ ყოფილა, თუმცა მას თავისი მნიშვნელოვანი წონა ჰქონდა. ცხადია, ამგვარი ნაციონალური თუ ეთნიკური სიძულვილი ყოველი გადაკვეთის დროს ჩნდებოდა, მათ შორის ფერარა-ფლორენციის კრებაზეც. ცირპანლისის აზრით, ვინაიდან ბერძნების „რელიგიური რწმენა მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათ ეთნიკურ წარმომავლობასა და სიამაყესთან, ამიტომ, ბუნებრივია, რომ ისინი ძლიერად უპირისპირდებოდნენ რომთან დაქვემდებარებას თუ უნიას“[23]. მაგრამ, გადისი სწორად შენიშნავდა, რომ ბერძენთა შორის ფლორენციის უნიის მიუღებლობას უფრო რელიგიური, ვიდრე ეთნიკური და პოლიტიკური მიზეზები ჰქონდა[24]. დაზუსტებისთვის, აღნიშნულ განსხვავებას ნაციონალურსაც ვერ ვუწოდებთ, რადგან ორივე მხარეს სხვადასხვა ეროვნების ხალხები შეიძლებოდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ისინი საერთო ენაზე ლაპარაკობდნენ (ბერძნულად ან ლათინურად). ამიტომ, მნიშვნელოვანმა გაუგებრობებმა ლინგვისტურ სხვაობებშიც იჩინა თავი[25].

რეფორმაციის ეპოქის გერმანული ქრისტიანული გარემო, ნაციონალიზმის გაძლიერების თვალსაზრისით, სათანადო ყურადღებას იმსახურებს. გერმანიას სურდა თავისი პოლიტიკური სისუსტე კულტურული და ლინგვისტური ნაციონალიზმის გაძლიერებით დაეკომპენსირებინა. მართალია, თვით ლუთერის იდეები უფრო რელიგიურ დოქტრინასთან იყო დაკავშირებული, ვიდრე ნაციონალიზმთან, მაგრამ ის გარემოება, რომ გერმანული ნაციონალიზმი რეფორმაციამდე განმტკიცებულიყო, ხელი შეუწყო ლუთერის რელიგიურ გზავნილს (აქვე აღსანიშნავია ლუთერის მიერ ბიბლიის მშობლიურ, გერმანულ ენაზე თარგმნა). ასევე სხვა რეფორმატორებმა, — მაგ., ცვინგლი, — რეფორმაციას ნაციონალური ხასიათი მისცეს[26]. ცვინგლისთვის პატრიოტიზმი და ჭეშმარიტი

---

[21] Greenslade, *Schism in the Early Church*, 62-64.

[22] Greenslade, *Schism in the Early Church*, 69.

[23] Tsirpanlis, Constantine. *Mark Eugenikos and the Council of Florence: A Historical Re-Evaluation of his Personality.* (New York: Univ. Microfilms Internat 1973), 10.

[24] Gaddis, Constantina Scourtis. *The Failure of Reconciliation: The Byzantine Experience at the Council of Ferrara-Florence (1438-39).* (University of California, Los Angeless, PhD Dissertation, 2004), 218-220.

[25] Greenslade, *Schism in the Early Church*, 70.

[26] Scott, Tom. *“The Problem of Nationalism in the Early Reformation”,* Renaissance and Reformation 40:4 (2017), 172.

რელიგია სინონიმებად იქცა[27]. აღსანიშნავია, რომ გერმანულ ნაციონალიზმს იტალოფობიაც კვებავდა და მე-15-16 საუკუნეებში თითქმის ყველა პაპი იტალიელი იყო[28].

სქიზმების შეფასება

ყველაზე მთავარი, მასშტაბური და ხანგრძლივშედეგიანი 1054 წლის სქიზმა რომ ავიღოთ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქრისტიანოების ურთიერთგაუცხოებაში შეუძლებელია რომელიმე მხარის სრული გამართლება ან დადანაშაულება. ამ დაპირისპირებაში დამნაშავენი თანაბრად იყვნენ როგორც ბერძნები, ისე ლათინები. დიდი სქიზმა ორივე მხარისთვის ტრაგედიაა. ჯონ ერიქსონის სიტყვით, „მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ არც კათოლიკურ და არც მართლმადიდებლურ ეკლესიებს არ შეურაცხავთ წმინდანებად თავისი შესაბამისი გმირები“[29].

ლათინებს შეეძლოთ მრავალი პრეტენზიის გამოთქმა ბიზანტიელთა წინააღმდეგ. მაგ., კალისტოს უერი წერს, რომ „მართლმადიდებლებმა უნდა განიკიცხონ თავი მედიდურობისა და ქედმაღლობისთვის, რითაც ისინი ბიზანტიურ ეპოქაში უყურებდნენ დასავლელ ქრისტიანებს. მათ უნდა განიკიცხონ თავი ისეთი ინციდენტებისთვის, როგორიც იყო 1182 წლის ბუნტი, როცა კონსტანტინეპოლში მცხოვრები ლათინები გათელილ იქნენ ბიზანტიელების მიერ (თუმცა, ბიზანტიური მხარის არც ერთი ბოროტმოქმედება არ შეიძლება შევადაროთ 1204 წლის ძარცვას)“[30]. მაგრამ ბერძნებსაც ბევრი მიზეზი ჰქონდათ ლათინების სიძულვილისთვის: ჯვაროსნული ლაშქრობები, რომელთაც თან სდევდა სამწუხარო ექსცესები; იტალიელ ვაჭართა წარმატებული კონკურენცია ბერძენთა შორის[31]. რომის პაპთა ჰეგემონისტური მიდრეკილებები; ერთობის მიღწევის უშედეგო მცდელობები და განსაკუთრებით, ფლორენციის კრების წარუმატებლობა; ბერძნების შთაბეჭდილება, რომ თურქული საფრთხის წინაშე ისინი დასავლეთმა მიატოვა; კულტურული პროცესები დასავლეთში, რამაც შვა ახალი სქოლასტიკური თეოლოგია[32] და სხვა.

ბიბლიოგრაფია - Bibliography

1. იანულატოსი, ანასტასიოსი (ტირანისა და სრულიად ალბანეთის მთავარეპისკოპოსი). “მართლმადიდებლობის დამოკიდებულება სხვა რელიგიებთან”, *სოლიდარობა*: საქართველოს სახალხო დამცველის პერიოდული გამოცემა 7, 2006, 35-45.

[27] Scott, “*Problem of Nationalism”*, 176.
[28] Marshall, Peter. *The Reformation: A Very Short Introduction*. (Oxford: OUP 2009), 12.
[29] Erickson, *“Leavened and Unleavened”*, 149.
[30] უერი, კალისტოსი. *„დიდი სქიზმა“* (თარგმანი კახაბერ ოღაძისა), აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა. მთავარი რედაქტორი: დავით თინიკაშვილი. (თბ., სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი 2009), 34.
[31] Runciman, *Eastern Schism*, 103.
[32] Meyendorff, *Byzantine Theology*, 154.

2. პაპუაშვილი, ნუგზარ. *„ფილეტიზმი, სამართალი და მართლმადიდებლობის დამჩემებელი ისტორიკოსები“,* ჟურნალი „ზღვარი“ 2 (7), 2006, 21-26.
3. უერი, კალისტოსი. *„დიდი სქიზმა“* (თარგმანი კახაბერ ოღაძისა), აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა. მთავარი რედაქტორი: დავით თინიკაშვილი. თბ., სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი 2009, 30-45.
4. Erickson, John. *"Leavened and Unleavened: Some Theological Implications of the Schism of 1054",* in: John Erickson. The Challenge of our Past: Studies in Orthodox Canon Law and Church History. New-York: SVS Press 1991, 145-155.
5. Gaddis, Constantina Scourtis. *The Failure of Reconciliation: The Byzantine Experience at the Council of Ferrara-Florence (1438-39).* University of California, Los Angeless, PhD Dissertation, 2004.
6. Greenslade, Stanley. *Schism in the Early Church*. London: SCM Press 1953.
7. Kalaitzidis, Pantelis. *"Orthodox Theology Challenged by Balkan and East European Ethnotheologies"*, Politics, Society and Culture in Orthodox Theology in a Global Age. Edited by Hans-Peter Grosshans and Pantelis Kalaitzidis. Schöningh: Brill 2022.
8. Marshall, Peter. *The Reformation: A Very Short Introduction*. Oxford: OUP 2009.
9. Meyendorff, John. *Byzantine Theology: Historical Trends and Doctrinal Themes*. 2nd ed. New York: Fordham University Press 1979.
10. Nichols, Aidan. *Rome and the Eastern Churches*. 2nd ed. San Francisco, CA: Ignatius Press, 2010.
11. Rubenson, Samuel. *The Letters of St. Antony: Origenist theology, monastic tradition and the making of a Saint*. Lund: Lund University Press, 1990.
12. Runciman, Steven. *The Eastern Schism: A study of the papacy and the Eastern Churches during the XIth and XIIth centuries*. Oxford: Clarendon Press 1955.
13. Runciman, Steven. *The Great Church in Captivity: A Study of the Patriarchate of Constantinople from the Eve of Turkish Conquest to the Greek War of Independence*. Cambridge: Cambridge University Press, 1985.
14. Scott, Tom. *"The Problem of Nationalism in the Early Reformation",* Renaissance and Reformation 40:4, 2017, 170-180.
15. Tsirpanlis, Constantine. *Mark Eugenikos and the Council of Florence: A Historical Re-Evaluation of his Personality.* New York: Univ. Microfilms Internat 1973.
16. Кривошеин, Василий. *"Экклезиология св. Василия великого",* Страницы 3:3, 1998, 330-349.
17. Мейендорф, Иоанн. *Византииское Богословие*. Минск, 2001.
18. Поснов, Михаил. *История Христианской Церкви: До Разделения Церквей, 1054г*. Брюссель: Жизнь с Богом 1964.
19. Рансимэн, Стивен. *Великая Церков в Пленении*. СПб., 2006.
20. Суттнер, Эрнст. *Христианство Востока и Запада: В Поисках Зримого Проиавлениа Единства*. Перевод с Немецкого. М., ББИ, 2004.